ელგუჯა მარღია

(მოკლედ...)

ბოლომდე არა მაქვს ბ-ნი გიორგი სოსიაშვილის ყველა წიგნი წაკითხული, მაგრამ რასაც გავეცანი, აღფრთოვანებული ვარ...ეს არის გულმხურვალე მწერალი, საოცარი, ლაღი, მართალი, ყუათიანი სიტყვითა და მწერლის გამახვილებული თვალით...მოგეხსენებათ, ენა, ხატვის უნარი, დანახვის ნიჭი, აყალიბებს მწერალს და ეს არ არის ახალი...მე მას ქართლის რეზო ინანიშვილს დავარქმევდი...შეიძლება გადაჭარბებული მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ასეთი შედარების სურვილი გამიჩნდა...ალბათ, მწერლის პოეტური თხრობის გამო...გურამ დოჩანაშვილის ,,თავფარავნელი ჭაბუკის" ალუზია შემიქმნა ,,ბავშვობის ბოლო დღის" დასაწყისმა...აქ განსაკუთრებულად ჩანს მწერლის ე.წ. ლირიკული გადახვევები...,,დასაწყისი და დასასრული" მრავალ ცნობილ ავტორს გაგვახსენებს, ვინც ამ თემას უძღვნა ნაწარმოები, მაგრამ განსაკუთრებით, ნოდარ წულეისკირის რომანი ,,აფთრები" და მის მიხედვით გადაღებული ფილმის - ,,მონანიების" ეპიზოდები გაგიელვებთ გონებაში...ეს განა ცუდია...ასევე გამოვყოფდი მწერლის ბუნებრივ და გულიან იუმორს...არაერთმა უცნობმა სიტყვამ მიიქცია ჩემი ყურადღება...საოცარმა შედარებებმა...ფაქტობრივად, განსაკუთრებული მოწონების გამო, გახაზული მაქვს, რაც წავიკითხე..(ეს ჩემი ცუდი ჩვევაა...)..,,წითელი უდაბნო" ის პიესაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაცოცხლდეს რომელიმე თეატრის სცენაზე...დავეთანხმები, ბ-ნ იოსებ ჭუმბურიძეს...მართლაც ,,იონათამის თვალით" (აღნიშნული პიესის ერთ-ერთი უმთავრესი გმირის, რომელიც ნაწარმოების დასასრულს ჩნდება...) არის აღქმული და დახატული ის ჯოჯოხეთური ეპოქა, რაც ანგრევდა ეკლესია-მონასტრებს და ჩვენს სულიერებას...